ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2294838

ნომერი: AR1356361

თარიღი : 12.11.2015

გაცემის თარიღი : 12.11.2015

გაცნობის თარიღი : 12.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი III , N71 , (ნაკვეთი 01/017) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 12 ნოემბერს AR1356361 განაცხადით

მომართა ირაკლი შარაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის, კერძოდ, დამკვეთის ინფორმაციის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანებით ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვარტალში, № 71-ში (ნაკვეთი 01/017), შპს „m2 ნუცუბიძეზეს“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.03.001.017), შერეული ფუნქციის (საცხოვრებელი, კომერციული) შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 22 აგვისტოდან 2016 წლის 22 თებერვლის ჩათვლით. დამკვეთის ინფორმაციაში დაფიქსირდა ორგანიზაცია სს „$მ^{2}$.“
განმცხადებლის განმარტებით, 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციაში არასწორად, შეცდომითაა მითითებული ორგანიზაციის დასახელება. წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანებაში და დამკვეთის ინფორმაციაში დაფიქსირდეს: შპს „m^{2} ნუცუბიძეზე“ – (საიდენტიფიკაციო კოდი: N404992040).
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია წარდგენილ დოკუმენტაციასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანებაში და დამკვეთის ინფორმაციაში დაფიქსირდეს: შპს „m^{2} ნუცუბიძეზე“ – (საიდენტიფიკაციო კოდი: N404992040). არქიტექტურის სამსახურის 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21/08/2015 წლის №2149626 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.